European Bank
for Reconstruction and Development

Independent
Project
Accountability
Mechanism

May 2025

MAP-ის მონიტორინგის ანგარიში III

მონიტორინგის პერიოდი: 2024 წლის მაისი – 2024 წლის ოქტომბერი

შუახევის ჰესი (მოთხოვნა #2)

EBRD-ის პროექტის ნომერი 45335

საქმე 2019/01 წ

2025 წლის მაისი

შენიშვნა: ეს საქმე მიღებულია პროექტის გასაჩივრების (PCM), EBRD–ის ყოფილი ანგარიშვალდებულების მექანიზმის ფარგლებში, 2014 წლის PCM–ის პროცედურული წესების შესაბამისად.

2020 წლის 1 ივლისიდან, პროექტის გასაჩივრების მექანიზმი შეცვალა პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელმა მექანიზმმა (IPAM), რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის (PAP) საფუძველზე. პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის გარდამავალი დებულებების V ნაწილის შესაბამისად, IPAM-ის ხელმძღვანელმა 2020 წლის ივლისში დაადგინა, რომ შერჩეულმა PCM ექსპერტმა დაასრულა შესაბამისობის განხილვის პროცესი პროექტის საჩივრების მექანიზმის 2014 წლის პროცედურული წესების შესაბამისად. 2022 წლის ნოემბერში შესაბამისობის მიმოხილვის დასრულების შემდეგ, ეს საქმე განიხილება 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის მოთხოვნების თანახმად.

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM) EBRD–ის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმია. ის განიხილავს პროექტით დაზარალებული ადამიანებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წამოჭრილ, გარემოს დაცვის, სოციალურ და პროექტის საჯაროობასთან დაკავშირებულ საკითხებს. IPAM–ს აქვს რეაგირების ორი საშუალება: i) პრობლემის მოგვარება, რომელიც მხარს უჭერს მოსარჩელესა და კლიენტებს შორის დიალოგს, რათა გადაიჭრას გარემოს დაცვის, სოციალური და ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებული საკითხები, ბრალის ან დანაშაულის მიკუთვნების გარეშე; ან ii) შესაბამისობის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს შეასრულა თუ არა, EBRD-მა თავისივე გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკა და ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა პროექტთან დაკავშირებით.

IPAM-ის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ipam@ebrd.com ან ეწვიეთ IPAM webpage.

საკონტაქტო ინფორმაცია	**როგორ შევიტანოთ საჩივარი IPAM-ში**
პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM) ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი 5 ბანკის ქუჩა ლონდონი, E14 4BG ტელ: +44 (0)20 7338 6000 Email: ipam@ebrd.com	EBRD-ის პროექტის გარემოს დაცვის და სოციალური კუთხით შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების გასაჩივრება შესაძლებელია ელ. ფოსტით, ტელეფონით ან მითითებულ მისამართზე წერილის გამოგზავნით ან ონლაინ ფორმის შევსებით https://www.ebrd.com/project-finance/ipam.html

სარჩევი

აბრევიატურები 4
1. შესავალი 7
1. ამ პერიოდის მონიტორინგის აქტივობები 8
2. მონიტორინგის დასკვნები 13
დანართი I. MAP-ის განხორციელების პროგრესი –მონიტორინგის მესამე პერიოდის ქმედებები ... 14

თუ ამ ანგარიშში სხვაგვარად არ არის მითითებული, აქ მოცემული ტერმინები განსაზღვრულია 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკით.

აბრევიატურები

აბრევიატურა	სრული ფორმა
AGL ან კლიენტი	აჭარისწყალი ჯორჯია
BREC	Blue Rivers გარემოს დაცვის კონსულტაცია
CAO	შესაბამისობის მრჩეველი ომბუდსმენის ოფისი
CEE	ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა
CSO	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია
LES	გამსესხებლების გარემოს დაცვისა კონსულტანტი
MAP	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა
O-BAP	საოპერაციო ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა
PAP	2019 წლის ანგარიშგების პოლიტიკა
PCM	პროექტის გასაჩივრების მექანიზმი
PR	შესრულების მოთხოვნა
პროექტი	შუახევის ჰიდროენერგეტიკული პროექტი (45335) საქართველოში
SEP	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა

მოკლე შეჯამება

2018 წლის ივლისში, პროექტის საჩივრების მექანიზმმა (PCM, IPAM-ის წინამორბედი) მიიღო მოთხოვნა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისგან „მწვანე ალტერნატივა“ და CEE Bankwatch Network-ისგან შუახევის ჰესის (45335) პროექტთან დაკავშირებით. საქმე დარეგისტრირდა 2019 წლის 18 თებერვალს როგორც Case 2019/01 Shuakhevi HPP (Request #2).

მოსარჩელეებმა გამოთქვეს შეშფოთება გარემოსა და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების და წინასწარი კვლევის ჩატარების, ასევე, პროექტის შესრულებისა და პროექტის მონიტორინგის შესაბამისობასთან დაკავშირებით. ასევე აღინიშნა, რომ არსებობს კითხვის ნიშნები ბიომრავალფეროვნების კომპენსაციის მექანიზმების ვარგისიანობის, ქალების, როგორც მოწყვლადი მოსახლეობის დაცვისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის გარშემო.

PCM-მა ჩაატარა ფაქტების დამდგენი გამოძიება და წარმოადგინა დასკვნები და რეკომენდაციები შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშში, რომელიც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია IPAM-ის საქმეთა რეესტრის ვირტუალურ საქმეთა ფაილში. შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშში (ჩაატარა გარე ექსპერტმა) გამოვლინდა შეუსაბამობა 2008 წლის გარემოს დაცვისა და სოციალურ პოლიტიკასთან - შესრულების მოთხოვნებთან (PRs) 1, 4 და 6 დაკავშირებით.

გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით, PCM-მ სულ **8 რეკომენდაცია** გასცა: **4 რეკომენდაცია სპეციფიკურია პროექტისთვის** და **ოთხი სისტემური ხასიათისაა.**

PCM-ის დასკვნებსა და რეკომენდაციებზე რეაგირების მიზნით, ბანკის მენეჯმენტმა საბჭოს წარუდგინა **სამოქმედო გეგმა.** მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP) გამოქვეყნდა IPAM-ის საქმეთა რეესტრში 2022 წლის ოქტომბერში, რითაც დაიწყო MAP-ის მონიტორინგის ეტაპი, რომლის ფარგლებშიც, IPAM (მანამდე PCM) პასუხისმგებელია MAP-ის განხორციელების მონიტორინგზე პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკით განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით.

მონიტორინგის პროცესის წარმართვის მიზნით, PCM-მა წარმოადგინა MAP-ის მონიტორინგის გეგმა, რომელშიც მითითებულია აქტივობები თითოეული ქმედების დასრულების შესაფასებლად და რეკომენდაციებზე რეაგირების უზრუნველსაყოფად. დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია IPAM-ის საქმეთა რეესტრში.

პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის თანახმად, IPAM გამოსცემს ანგარიშებს წელიწადში ორჯერ, რომელებიც მოიცავს MAP-ის განხორციელების ექვსთვიან პერიოდს, სანამ არ დასრულდება ყველა ქმედება. გარდა ამისა, განისაზღვრა, რომ IPAM ჩათვლის

ქმედებას დასრულებულად, როდესაც დასახული ამოცანები შესრულდება მითითებულ ვადებში[1].

ეს ანგარიში მოიცავს **მონიტორინგის მესამე პერიოდს** - 2024 წლის მაისიდან 2024 წლის ოქტომბრამდე და IPAM-ის მიერ განხორციელებული აქტივობების მიმოხილვას 2 მიმდინარე ქმედების განხორციელების შესამოწმებლად (რომლებიც დაგვიანებულია, რადგან თავდაპირველი ვადა იყო 2023 წლის ივნისი) და 4 მიმდინარე ქმედების მიმოხილვას (რომლების მონიტორინგსაც IPAM გააგრძელებს ყოველ 6 თვეში ერთხელ).

ვადაგადაცილებული ქმედებებია: 6ა, 6ბ. მიმდინარე ქმედებებია: 5გ, 7ა, 7ბ, 8ბ. ქვემოთ მოცემულია შეჯამება:

მენეჯმენტის ქმედება 5ა: SEP ხორციელდება საოპერაციო ფაზაში - ვადა: ყოველწლიურად ორჯერ, 2022 წლის დეკემბრიდან და დასრულდება 2025 წლის დეკემბრამდე (მიმდინარე).

მენეჯმენტის ქმედება 6ა: ისტორიული ქანების ტესტირების მეთოდების შესახებ არატექნიკური პოზიციის დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია ინგლისურ და ქართულ ენებზე – ბოლო ვადა: 2023 წლის ივნისი.

მენეჯმენტის ქმედება 6ბ: პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ხალხი ინფორმირებულია კლდის ტესტირების მონაცემების მოთხოვნის შესაძლებლობის შესახებ - ბოლო ვადა: 2023 წლის ივნისი.

მენეჯმენტის ქმედება 7ა: მენეჯმენტი გააცნობს IPAM-ს სიახლეებს წყლის ხელმისაწვდომობის მონიტორინგის დასკვნებზე – ბოლო ვადა: წელიწადში ორჯერ, 2022 წლის დეკემბრიდან 2025 წლის დეკემბრამდე (მიმდინარე)

მენეჯმენტის ქმედება 7ბ: მენეჯმენტი მიაწოდებს IPAM-ს სიახლეებს წყლის ხელმისაწვდომობის საჩივრების შესახებ, რომლებიც წამოჭრილია საჩივრების მექანიზმით – ბოლო ვადა: წელიწადში ორჯერ, 2022 წლის დეკემბრიდან და 2025 წლის დეკემბერამდე (მიმდინარე).

მენეჯმენტის ქმედება 8ბ: O-BAP-ის განხორციელების სიახლეები გაეგზავნება IPAM-ს მონიტორინგის ანგარიშებში ჩასართავად – ბოლო ვადა: წელიწადში ორჯერ, 2022 წლის დეკემბრიდან 2025 წლის დეკემბრამდე (მიმდინარე).

შესაბამისობის პროცესის შედეგები და ვადები

No.	ქმედება	ვადა
1	შესაბამისობის განხილვის დასრულება	2022 წლის ოქტომბერი
2	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის დამტკიცება	2022 წლის ოქტომბერი
3	MAP-ის მონიტორინგის გეგმა	2022 წლის დეკემბერი

[1] პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის 2.8 პუნქტის მიხედვით, „მენეჯმენტის სამოქმედო გეგმები განხორციელებულად ჩაითვლება, თუ ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს: i) [MAP-ში] გათვალისწინებული განხორციელების გეგმები და ვალდებულებები ეფექტურად ხორციელდება და ii) განხორციელების განრიგი სრულდება.

4	მონიტორინგის პირველი ანგარიში, რომელიც მოიცავს 2022 წლის დეკემბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე პერიოდს	2024 წლის თებერვალი
5	მონიტორინგის მეორე ანგარიში 2023 წლის ნოემბერი - 2024 წლის აპრილი	2024 წლის ივლისი

2022 წლის ოქტომბერში, საბჭოს მიერ დამტკიცებულ მენეჯმენტის სამოქმედო გეგმით, მენეჯმენტმა აიღო ვალდებულება შეესრულებინა 10 ქმედება (რომელთაგან ზოგიერთი ხანგრძლივად ხორციელდება, ნაწილი კი 2022 წლის დეკემბრიდან 2023 წლის ივნისამდე პერიოდში). დღეისათვის, დაახლოებით ორი წლის შემდეგ, მხოლოდ 4 ქმედებაა დასრულებული, დანარჩენი 6 კი ღიაა ვადის გასვლის შემდეგაც.

მონიტორინგის ამ პერიოდში, მენეჯმენტმა მოთხოვნის საპასუხოდ წარმოადგინა გარკვეული დოკუმენტაცია. წარმოდგენილის გულდასმით განხილვის შემდეგ, IPAM მიიჩნევს, რომ **ოთხი ქმედება** არ არის დასრულებული, რადგან განხორციელებული აქტივობები და მოწოდებული დოკუმენტები სრულად არ ასრულებენ მენეჯმენტის მიერ **2022 წლის სექტემბერში საბჭოს მიერ დამტკიცებული მენეჯმენტის სამოქმედო გეგმით** აღებულ ვალდებულებებს. დარჩენილი **ორი ქმედება** დაიხურება.

მენეჯმენტმა IPAM-ს აცნობა, რომ ბანკი ამ ეტაპზე აქტიურად აღარ მართავს პროექტს, რადგან ისინი კმაყოფილნი არიან გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების განხორციელების დონით. ეს IPAM-ისთვის შეშფოთების საგანია, რადგან ქმედებების ნაწილი ჯერ ისევ განსახორციელებელია.

და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის შესაბამისობის მრჩეველმა ომბუდსმენის ოფისმა ახლახან დაასრულა პროექტის შესაბამისობის განხილვის პროცესი და მოსალოდნელია რომ დასკვნების ანგარიში გამოქვეყნდება IPAM-ის მომდევნო მონიტორინგის ანგარიშამდე.

IPAM ამ დროის განმავლობაში თანამშრომლობდა მათთან და გააგრძელებს პროცესისა და დასკვნების გამოქვეყნების მონიტორინგს, რადგან ისინი შეიძლება მეტ ინფორმაციას შეიცავდეს პროექტისა და თემების ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ.

შემდეგი მონიტორინგის ანგარიში გამოქვეყნდება 2025 წლის ზაფხულში და მოიცავს პროექტის სტატუსისა და თემების შესახებ ინფორმაციას CAO შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშიდან.

1. შესავალი

2018 წლის ივლისში, პროექტის საჩივრების მექანიზმმა (PCM, IPAM-ის წინამორბედი) მიიღო საჩივარი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისგან „მწვანე ალტერნატივა“ და CEE Bankwatch Network-ისგან შუახევი ჰესის (45335) პროექტთან დაკავშირებით. საქმე

დარეგისტრირდა 2019 წლის 18 თებერვალს როგორც Case 2019/01 Shuakhevi HPP (Request #2).

მოსარჩელეებმა გამოთქვეს შეშფოთება გარემოსა და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების და წინასწარი კვლევის ჩატარების, ასევე, პროექტის შესრულებისა და პროექტის მონიტორინგის შესაბამისობასთან დაკავშირებით. ასევე აღინიშნა, რომ არსებობს კითხვის ნიშნები ბიომრავალფეროვნების კომპენსაციის მექანიზმების ვარგისიანობის, ქალების, როგორც მოწყვლადი მოსახლეობის დაცვისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის გარშემო.

PCM-მა ჩაატარა ფაქტების დამდგენი გამოძიება და წარმოადგინა დასკვნები და რეკომენდაციები შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშში, რომელიც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია IPAM-ის საქმეთა რეესტრის ვირტუალურ საქმეთა ფაილში. შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშში (ჩაატარა გარე ექსპერტმა) გამოვლინდა შეუსაბამობა 2008 წლის გარემოს დაცვისა და სოციალურ პოლიტიკასთან, შესრულების მოთხოვნებთან (PRs) 1, 4 და 6 დაკავშირებით.

გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით, PCM-მ სულ **8 რეკომენდაცია** გასცა: **4 რეკომენდაცია სპეციფიკურია პროექტისთვის** და **ოთხი სისტემური ხასიათისაა.**

PCM-ის დასკვნებსა და რეკომენდაციებზე რეაგირების მიზნით, ბანკის მენეჯმენტმა საბჭოს წარუდგინა სამოქმედო გეგმა. მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP) გამოქვეყნდა IPAM-ის საქმეთა რეესტრში 2022 წლის ოქტომბერში, რითაც დაიწყო MAP-ის მონიტორინგის ეტაპი, რომლის ფარგლებშიც, IPAM (მანამდე PCM) პასუხისმგებელია MAP-ის განხორციელების მონიტორინგზე, პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკით დადგენილ კრიტერიუმებზე დაყრდნობით.

მონიტორინგის პროცესის წარმართვის მიზნით, PCM-მა მოამზადა MAP-ის მონიტორინგის გეგმა, რასაც მოჰყვა მონიტორინგის პირველი ანგარიში, რომელიც მომზადდა IPAM-ის მიერ 2024 წლის თებერვალში და მონიტორინგის მეორე ანგარიში 2024 წლის ივლისში.

ეს არის მონიტორინგის მესამე ანგარიში, რომელიც მოიცავს IPAM-ის მონიტორინგის აქტივობებს მენეჯმენტის შესაბამის ქმედებებთან დაკავშირებით 2024 წლის მაისიდან 2024 წლის ოქტომბრამდე პერიოდში.

2. ამ პერიოდის მონიტორინგის აქტივობები

მონიტორინგის პროცესის წარმართვის მიზნით, IPAM-მა 2022 წლის დეკემბერში გამოაქვეყნა MAP-ის მონიტორინგის გეგმა, რომელიც ასახავს IPAM-ის მიერ შემოთავაზებულ მონიტორინგის აქტივობებს MAP-ის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

ეს ანგარიში მოიცავს პერიოდს 2024 წლის მაისიდან 2024 წლის ოქტომბრამდე და IPAM-ის მიერ განხორციელებული აქტივობების მიმოხილვას მენეჯმენტის ქმედებებთან 5გ, 6ა, 6ხ,

7ა, 7ბ და 8ბ დაკავშირებით (რომელთაგან ორის ბოლო ვადა 2023 წლის ივნისში, ხოლო დანარჩენი მიმდინარეა).

მონიტორინგის აქტივობებისა და დასკვნების შეჯამება

2022 წლის ოქტომბერში, საბჭოს მიერ დამტკიცებულ მენეჯმენტის სამოქმედო გეგმით, მენეჯმენტმა აიღო ვალდებულება შეესრულებინა 10 ქმედება (რომელთაგან ზოგიერთი მიმდინარე ხასიათისაა, ზოგი კი 2022 წლის დეკემბრიდან 2023 წლის ივნისამდე პერიოდში უნდა შესრულდეს). მონიტორინგის ამ პერიოდის დასაწყისში მონიტორინგს ექვემდებარებოდა ექვსი ქმედება. IPAM იმუშავა მენეჯმენტთან საჭირო დოკუმენტაციის მისაღებად, იმის გასარკვევად, თუ როგორ სრულდება კონკრეტული რეკომენდაციები MAP-ის მეშვეობით.

მენეჯმენტმა მოთხოვნის საპასუხოდ წარმოადგინა გარკვეული დოკუმენტაცია. დოკუმენტების გულდასმით განხილვის შემდეგ, IPAM მიიჩნევს, რომ **ოთხი ქმედება** არ არის დასრულებული, რადგან განხორციელებული აქტივობები და მოწოდებული დოკუმენტები სრულად არ ასრულებენ **2022 წლის სექტემბერში საბჭოს მიერ დამტკიცებული მენეჯმენტის სამოქმედო გეგმით** მენეჯმენტის მიერ აღებულ ვალდებულებებს**. დანარჩენი ორი ქმედება დაიხურება.**

მენეჯმენტმა IPAM-ს ასევე აცნობა, რომ ბანკი ამ ეტაპზე აქტიურად აღარ მართავს პროექტს, რადგან ისინი კმაყოფილნი არიან გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების განხორციელების დონით. ეს IPAM-ისთვის შეშფოთების საგანია, რადგან ქმედებების ნაწილი ჯერ ისევ განსახორციელებელია.

მოსარჩელეებთან ურთიერთობისას გაირკვა, რომ მათი შეშფოთება პროექტთან დაკავშირებით არ შემცირებულა. 2024 წლის სექტემბერში მოსარჩელე ავრცელებდა ცნობას, რომ მთებში გააქტიურდა მეწყერი, რომელიც საბედნიეროდ სოფელ მახალაკიძეებამდე არ მისულა. მეწყერის ჩამოწოლის შემდეგ ადგილობრივებს სთხოვეს ეკო ლტოლვილებად დარეგისტრირება და კომპენსაციის სახით ფულადი თანხის აღება. ამაზე მათ უარი თქვეს. ამის შემდეგ კომუნიკაცია აღარ ყოფილა.

და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის შესაბამისობის მრჩეველი ომბუდსმენის ოფისმა (CAO) ახლახან დაასრულა პროექტის შესაბამისობის განხილვის პროცესი და მოსალოდნელია, დასკვნების ანგარიში გამოქვეყნდება IPAM-ის მომდევნო მონიტორინგის ანგარიშამდე.

IPAM ამ დროის განმავლობაში ურთიერთობდა მათთან და გააგრძელებს მათი პროცესის და დასკვნების გამოქვეყნების მონიტორინგს, რადგან ისინი შეიძლება მეტ ინფორმაციას შეიცავდეს პროექტისა და თემების ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ.

გთხოვთ, იხილოთ ქვემოთ IPAM-ის ანალიზი თითოეული ქმედებისთვის.

PCM-ის რეკომენდაცია 5
პროექტთან დაკავშირებით, ბანკმა უნდა ითანამშრომლოს AGL-თან, რათა შეადგინოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების საბოლოო სია, მათ შორის, თუ როგორ მოქმედებს პროექტი თითოეულ ასეთ თემზე. ბანკმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების, მათ შორის ქალებისა და ამ თემის სხვა მოწყვლადი წევრებისგან ინფორმაციის მიღებას.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ქმედება 5გ დაკავშირებულია PCM-ის რეკომენდაციასთან 5.

ქმედება 5გ

მე-5 რეკომენდაციის მიხედვით, მენეჯმენტი დათანხმდა უზრუნველყოს, რომ კლიენტმა გადახედოს SEP-ს PCM-ის რეკომენდაციების შესასრულებლად, რომელიც გამოვლინდა პროექტის[2] საოპერაციო ფაზაში და საჭიროების შემთხვევაში პერიოდულად დააკვირდება, მიმოიხილავს და განაახლებს. პროექტი დარჩება მონიტორინგის ფაზაში EBRD-ის ჩართულობის ხანგრძლივობის განმავლობაში და ეს განხილული იქნება კვარტალურ შეფასებებში.

მიმდინარე პერიოდში IPAM-ს მიაწოდეს კლიენტის მიერ 2023/2024 წლებში ჩატარებული შეხვედრების სია შეხვედრების ოქმებთან ერთად.

ქმედება ჩაითვალა დასრულებულად.

PCM-ის რეკომენდაცია 6
პროექტთან დაკავშირებით, ბანკმა უნდა იმუშაოს AGL-თან, რათა უზრუნველყოს საჯარო წვდომა გეოლოგიური ტესტირების შედეგებზე (კანონით დაცული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების გარეშე), მათ შორის, ქანების გამძლეობის ტესტების ჩათვლით და AGL-ის მიერ განხორციელებული ქმედებების დოკუმენტირება ასეთი ტესტების შედეგებზე რეაგირებისათვის.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ქმედებები 6ა და 6ბ დაკავშირებულია PCM-ის 6-ე რეკომენდაციასთან.

ქმედება 6ა

ეს ქმედება მოითხოვდა, რომ ისტორიული ქანების ტესტირების მეთოდების შესახებ არატექნიკური პოზიციის დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომი ყოფილიყო ინგლისურ და ქართულ ენებზე. კერძოდ, მენეჯმენტის სამოქმედო გეგმაში ნათქვამია: **„პროექტის მონიტორინგის ფარგლებში, EBRD იმუშავებს კლიენტთან, რათა გამოქვეყნდეს არატექნიკური პოზიციის დოკუმენტი ისტორიული ქანების ტესტირების მეთოდებთან დაკავშირებით, თუმცა, ეს ESP-ის ფარგლებს გარეთაა და, შესაბამისად, EBRD-ის პოლიტიკასთან შესაბამისობის მიღმაა. თუმცა, EBRD მოითხოვს, რომ კლიენტმა უზრუნველყოს ქანების**

[2] საოპერაციო ეტაპის დაინტერესებული მხარეების მართვის გეგმა გამოქვეყნდა 2021 წლის თებერვალში. d76f3e00-af8f-11ee-9b9e-9b28970c1a70.pdf

ტესტირების ნებისმიერი მონაცემის გაზიარება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანებისთვის, მოთხოვნის შემთხვევაში.“

განხილვისას გამოჩნდა, რომ ნაშრომი ისტორიული ქანების ტესტირების მეთოდების შესახებ (ვერსია AGL ვებსაიტზე, ასევე მენეჯმენტის მიერ 2025 წლის 31 იანვარს მოწოდებული შესწორებული ვერსიაც, რომელიც არ არის AGL ვებსაიტზე) მოიცავს ზოგად დასკვნებს გამოყენებული ტესტირების კონკრეტული მეთოდების შესახებ ინფორმაციის გარეშე (როგორც ამას მენეჯმენტის მიერ ვალდებულებად აღებული ქმედება 6ა გულისხმობს). IPAM-ისთვის ცოტა ხნის წინ გაგზავნილი დოკუმენტი შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას გეოლოგიური ტესტირების შესახებ (სიძლიერე და გამძლეობა სველ პირობებში) და გარკვეულ ინფორმაციას ქანების ტიპების შესახებ, სადაც პრობლემები იყო ("წითელი ბრექჩია"). მეორე მხრივ, დოკუმენტი არ აკონკრეტებს, საიდან იქნა აღებული სინჯები და როგორ მოხდა სინჯის აღება. გარდა ამისა, არ არის მითითებული, თუ რა ტიპის ტესტირება ჩატარდა (მაგ. საიდან გაიგეს წითელი ბრექჩიას შესახებ? სად აღმოაჩინეს ხარვეზები და რატომ არ აღმოჩნდა ის უფრო ადრე? ჩატარდა თუ არა ცდები ან სხვა ტესტები?). ამ მიზეზების გამო, ნაშრომი არ შეესაბამება ქმედებაში 6ა აღებულ ვალდებულებას.

ქმედება 6ბ

ვინაიდან ქმედება 6ა-ს თანახმად, ინფორმაცია მოთხოვნისთანავე ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანებისთვის, IPAM ითხოვს მტკიცებულებას, რომ კლიენტმა ინფორმაცია მიაწოდა თემებს ან გამოაქვეყნა იგი AGL-ის ვებსაიტზე.

IPAM-მა მიიღო განცხადება კლიენტისგან, რომ ქმედება განხორციელდა, თუმცა, დამადასტურებელი მტკიცებულებების გარეშე. წინა მონიტორინგის პერიოდში, მენეჯმენტმა ახსენა 2024 წლის ივლისში დაგეგმილი შეხვედრა მახალაკიძეების თემთან, რომლის დროსაც AGL-მ აიღო ვალდებულება წარმოედგინა სხვადასხვა დოკუმენტები, მათ შორის, ქანების ტესტირებასთან დაკავშირებული. შეხვედრის ოქმში ეს საკითხი ასახული არ არის.

ამ საკითხების გათვალისწინებით, ეს ქმედებები არ ითვლება დასრულებულად.

PCM-ის რეკომენდაცია 7
პროექტთან დაკავშირებით, ბანკმა უნდა იმუშაოს AGL-თან საფუძვლიანი ჰიდროგეოლოგიური მიმოხილვის ორგანიზებისათვის (ან არსებული მიმოხილვების გასაძლიერებლად), რომელიც მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას წყლის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების შესახებ წინა პერიოდებში, ასევე, ვარაუდისა და დასკვნების სათანადო დადასტურებას ფიზიკურ ანალიზზე დაყრდნობით და არ შემოიფარგლება დოკუმენტების ანალიზით.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ქვემოთ მოყვანილი მოქმედებები 7ა და 7ბ დაკავშირებულია PCM-ის 7-ე რეკომენდაციასთან.

ქმედება 7ა

ეს ქმედება მოითხოვდა მენეჯმენტს მიეწოდებინა IPAM-ისთვის უახლესი ინფორმაცია წყლის ხელმისაწვდომობის მონიტორინგის შედეგების შესახებ. ეს ქმედება მიმდინარეა, რაც იმას ნიშნავს, რომ PCM და ამის შემდეგ IPAM განიხილავს და აფასებს პროგრესს ყოველ ექვს თვეში ერთხელ.

IPAM-ის მხრიდან ინფორმაციის მოთხოვნა ამ ქმედებისთვის მოიცავდა წყაროს წყლისთვის ჩატარებული საბაზისო ანალიზის დეტალებს და წინა მონიტორინგის პერიოდების მტკიცებულებას, რომ „წყლის ხელმისაწვდომობის საკითხი წამოიჭრა მშენებლობის დროს, მაგრამ შემდგომი მონიტორინგი არ განხორციელებულა, რადგან წყლის ხელმისაწვდომობაში ცვლილების პროექტთან კავშირი არ დასტურდება.“ ინფორმაცია არ არის მოწოდებული.

ქმედება 7ბ

ამ ქმედებით, მენეჯმენტმა უნდა მიაწოდოს IPAM-ს უახლესი ინფორმაცია წყლის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საჩივრების შესახებ, რომლებიც წამოჭრილია საჩივრების მექანიზმის ფარგლებში.

ამ საკითხთან დაკავშირებით, კლიენტმა აღნიშნა, რომ არცერთი საჩივარი არ მიუღია. თუმცა, მოწოდებული შეხვედრის ოქმებშია (მაგ., 26.06.24) ნახსენები ისეთი საკითხები, როგორიცაა „წყლის წყაროების გაქრობა“, „ადამიანები, რომლებიც კარგავენ წყაროს წყალს“, და „სასმელად შეუსაბამო წყალი“.

ასევე აღსანიშნავია, რომ წყალმომარაგების პროექტი ხორციელდება ორი სოფლისა და დამატებით 80 კომლის წყალმომარაგების მიზნით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ წყლის ხელმისაწვდომობა აღიარებულია, როგორც პრობლემა. მენეჯმენტის თანახმად, ეს თემის განვითარების პროექტი იყო და არა წყაროს წყლის ცვლილებასთან დაკავშირებული ზემოქმედების შერბილება.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ეს ქმედებები არ ითვლება დასრულებულად.

PCM-ის რეკომენდაცია 8
პროექტთან დაკავშირებით, ბანკმა უნდა იმუშაოს AGL-თან, რათა ჩამოაყალიბოს პროტოკოლი ბიომრავალფეროვნების სისტემატური მონიტორინგისა და ანგარიშგების, მათ შორის, ვადებისა და შინაარსის მოთხოვნების ჩათვლით, რაც საშუალებას მისცემს AGL-ს, ბანკს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, დაადგინონ პროექტის ყველა ფაზის განმავლობაში. პროექტი აღწევს თუ არა, ბიომრავალფეროვნების ნულოვან დანაკარგს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ქმედება 8ბ დაკავშირებულია PCM-ის რეკომენდაციასთან 8.

ქმედება 8ბ

მენეჯმენტი ვალდებულია განახორციელოს პროექტის O-BAP-ის ეფექტურობის მუდმივი მონიტორინგი EBRD-ისა და გამსესხებლების E&S კონსულტანტის მიერ, და რომ O-BAP-ის შემდგომი განვითარება გასაჯაროვდება კომპანიის მიერ, როგორც კარგი პრაქტიკა.

მიმდინარე მონიტორინგის პერიოდში გამსესხებლების გარემოს დაცვისა და სოციალური კონსულტანტის მონიტორინგის ანგარიში მიუთითებს O-BAP-ის სწორად განხორციელებაზე. მასში აღნიშნულია, რომ ბიომრავალფეროვნების სტატისტიკური ტენდენციის ანალიზი არ ჩატარდება 2025 წლის მონიტორინგის პერიოდის დასრულებამდე. და ამიტომ პირველადი ანალიზი უნდა ჩატარდეს დაგეგმილზე ადრე.

ეს ქმედება შეიძლება ჩაითვალოს დასრულებულად მონიტორინგის ამ პერიოდისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის მიმდინარე ქმედება, IPAM გააგრძელებს მონიტორინგს უახლოეს პერიოდში.

ეს ქმედება შეიძლება ჩაითვალოს დასრულებულად მონიტორინგის ამ პერიოდისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის მიმდინარე ქმედება, IPAM გააგრძელებს მონიტორინგს უახლოეს პერიოდში.

3. მონიტორინგის დასკვნები

ეს ანგარიში მოიცავს მონიტორინგის პერიოდს 2024 წლის მაისიდან 2024 წლის ოქტომბრამდე და ასახავს MAP-ის განხორციელების სტატუსს.

მონიტორინგის ამ პერიოდში IPAM თანამშრომლობდა მენეჯმენტთან დოკუმენტაციის გამოთხოვის მიზნით, იმის შესასწავლად თუ როგორ სრულდება კონკრეტული რეკომენდაციები MAP-ის მეშვეობით. მენეჯმენტმა IPAM-ს აცნობა, რომ ბანკი ამ ეტაპზე აქტიურად აღარ მართავს პროექტს, რადგან მენეჯმენტი კმაყოფილია გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების განხორციელების დონით.

IPAM-მა გააანალიზა დოკუმენტაცია მენეჯმენტის სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებების შესაბამისად და მიიჩნევს, რომ **ოთხი ქმედება არ დასრულებულა და რჩება ღია. დანარჩენი ორი ქმედება დაიხურება.**

დანართი I. MAP-ის განხორციელების პროგრესი – მესამე მონიტორინგის ქმედებები

ქმედება No.	EBRD-ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და დასრულების შემოთავაზებული ბოლო ვადა	IPAM-ის შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის აქტივობის შესრულების ვადა	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების დასადგენად	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულების სტატუსი	IPAM-ის კომენტარები
5.	(გ) SEP ხორციელდება საოპერაციო ფაზაში	უახლესი ინფორმაციის მოთხოვნა მენეჯმენტისგან SEP-ის განხორციელებასთან დაკავშირებით, რა აქტივობები განხორციელდა და რომელი დაინტერესებული მხარეები იყვნენ ჩართულნი	წელიწადში ორჯერ, 2022 წლის დეკემბრიდან 2025-ის დეკემბრამდე[2]	ინფორმაცია მიღებულია და შეჯამება ჩართულია IPAM-ის მონიტორინგის ანგარიშში. ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები ადასტურებენ მონაწილეობას	**ქმედება დასრულებულია**	IPAM-ს მიეწოდა იმ შეხვედრების სია, რომლებიც ჩატარდა 2023/2024 წლებში კლიენტის მიერ შეხვედრის ოქმის თანხლებით.
6.	ა) ისტორიული ქანების ტესტირების მეთოდების შესახებ არატექნიკური პოზიციის დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია ინგლისურ და ქართულ ენებზე	დაადასტურეთ, არის თუ არა პოზიციის დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომი ინგლისურ და ქართულ ენებზე	ივნის 2023	პოზიციის დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია ინგლისურ და ქართულ ენებზე	**არ არის დასრულებული**	წარმოდგენილი მტკიცებულებები სრულად არ ადასტურებს წინსვლის შეფასებას.

ქმედება No.	EBRD-ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და დასრულების შემოთავაზებული ბოლო ვადა	IPAM-ის შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის აქტივობის შესრულების ვადა	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების დასადგენად	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულების სტატუსი	IPAM-ის კომენტარები
	ბ) პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანები ინფორმირებული არიან ქანების ტესტირების მონაცემების მოთხოვნის შესაძლებლობის შესახებ	მოითხოვეთ მენეჯმენტისგან მტკიცებულება, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანები ინფორმირებულნი არიან ქანების ტესტირების მონაცემების მოთხოვნის შესაძლებლობის შესახებ	ივნისი 2023	ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებისთვის შეტყობინებები და მესიჯები შეიცავს ინფორმაციას მონაცემთა მოთხოვნის შესაძლებლობისა და პროცესის შესახებ	**არ არის დასრულებული**	წარმოდგენილი მტკიცებულებები სრულად არ ადასტურებს წინსვლის შეფასებას.
7.	ა) მენეჯმენტმა უნდა მიაწოდოს IPAM-ის უახლესი ინფორმაცია წყლის ხელმისაწვდომობის მონიტორინგის დასკვნებთან დაკავშირებით	მენეჯმენტისგან უახლესი ინფორმაციის მოთხოვნა წყლის ხელმისაწვდომობის მონიტორინგის დასკვნებთან დაკავშირებით	წელიწადში ორჯერ, 2022 წლის დეკემბრიდან 2025-ის დეკემბრამდე	ინფორმაცია მიღებულია და შეჯამება ჩართულია IPAM-ის მონიტორინგის ანგარიშში.	**არ არის დასრულებული მონიტორინგის ამ პერიოდისთვის (ქმედების მიმობილვა გაგრძელდება)**	წარმოდგენილი მტკიცებულებები სრულად არ ადასტურებს წინსვლის შეფასებას.
	ბ) მენეჯმენტმა უნდა მიაწოდოს IPAM-ს უახლესი ინფორმაცია წყლის ხელმისაწვდომობის საჩივრების შესახებ,	მენეჯმენტისგან უახლესი ინფორმაციის მოთხოვნა წყლის ხელმისაწვდომობის	წელიწადში ორჯერ, 2022 წლის დეკემბერიდან	მიღებულია უახლესი ინფორმაცია და შეჯამება წარმოდგენილია IPAM-ის მონიტორინგის ანგარიშში	**არ დასრულებულა მონიტორინ**	წარმოდგენილი მტკიცებულებები სრულად არ

ქმედება No.	EBRD-ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და დასრულების შემოთავაზებული ბოლო ვადა	IPAM-ის შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის აქტივობის შესრულების ვადა	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების დასადგენად	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულების სტატუსი	IPAM-ის კომენტარები
	რომლებიც წამოჭრილია საჩივრების მექანიზმით	საჩივრების შესახებ, რომლებიც წამოჭრილია საჩივრების მექანიზმით	2025 წლის დეკემბერამდე		**გის ამ პერიოდისთვის (მოქმედება განიხილება მიმდინარე საფუძველზე)**	ადასტურებს წინსვლის შეფასებას.
8.	ბ) O-BAP-ის განხორციელების სიახლეები გაეგზავნება IPAM-ს მონიტორინგის ანგარიშებში შესატანად	მოითხოვეთ მენეჯმენტისგან ინფორმაცია O-BAP-ის განხორციელების შესახებ	წელიწადში ორჯერ, 2022 წლის დეკემბერიდან 2025 წლის დეკემბერამდე	მიღებულია უახლესი ინფორმაცია და შეჯამება წარმოდგენილია IPAM-ის მონიტორინგის ანგარიშში	**დასრულებულია მონიტორინგის ამ პერიოდისთვის (მოქმედება განიხილება მუდმივ საფუძველზე)**	ეს ქმედება შეიძლება ჩაითვალოს დასრულებულად მონიტორინგის ამ პერიოდისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარეობს ქმედება IPAM გააგრძელებს მონიტორინგს უახლოეს პერიოდში.